თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4392489

ნომერი: AR1660206

თარიღი : 07.02.2019

გაცემის თარიღი : 27.02.2019

გაცნობის თარიღი : 15.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილის III მასივი , . ზემო პლატო , კორპუსი N20-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ დვალი პ/ნ 01020007280
- თბილისი ა.სუვოროვის ქ. N 30

ორგანიზაცია:
- შპს "მ.დ.კ.+ " კოდი: 400192689

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 07 თებერვალს №AR1660206 განცხადებით მომართა მერაბ დვალმა. განმცხადებელმა მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვარკეთილის III მასივი, ზემო პლატო, კორპუსი №20-ის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე(საკ. კოდი№ 01.19.20.005.070), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 22/03/2018 წ-დან 22/03/2020 წ-ის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს. "ევრო დიზაინი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406125991).

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას და დამკვეთად შ.პ.ს. "ევრო დიზაინი"-ის 406125991) ნაცვლად შპს ,,მ.დ.კ''-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 400192689) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 882019064002 - 30/01/2019; მომზადების თარიღი: 05/02/2019) ქ. თბილისში, ვარკეთილის III მასივი, ზემო პლატო N 01.19.20.005.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მ.დ.კ'' (საიდენტიფიკაციო კოდი 400192689).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,მ.დ.კ''-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 400192689) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მერაბ დვალი (პ/ნ: 01020007280).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ამჟამად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მ.დ.კ'' (საიდენტიფიკაციო კოდი 400192689) სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,მ.დ.კ''-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 400192689).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №3879740 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.